სსიპ ,,თვითმმართველი თემი საჩხერის მუნიციპალიტეტი"-ს მიერ ყოფილი საზოგადოებრივი ცენტრის შენობის მეორე სართულისა და კომისარიატის ოთახის სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე)

სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N1

ქ. საჩხერე

24.01.2022 წელი

<u>სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:</u>

<u>სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:</u>
ლევანი ივანაშვილი -საჩხერის მუნიციპალიტეტის მერი.

<u>სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე</u>
კობა ქიმაძე–საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

<u>სატენდერო კომისიის წევრები:</u>

პეტრე ჭიბორია–საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა, და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი
მამუკა ჭიღლაძე –საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ფუნქციების შემსრულებელი
იაგო ბერიძე–საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი
თეონა ჭუმბურიძე-საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების უფროსი -

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები

ნანა ლომიძე– საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსის ფუნქციების შემსრულებელი
გიორგი ცუხიშვილი- საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილებაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

სატენდერო კომისიის სხდომას არ ესწრებოდა
ნინო გოგატიშვილი–საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, ბუღალტერიის განყოფილების უფროსი
დიმიტრი გოდაბრელიძე–საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსი
ერეკლე ჭიღლაძე–საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

დღის წესრიგი:

სსიპ ,,საჩხერის მუნიციპალიტეტი"-ს მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის მეორადი სტრაუქტურული ერთეულის არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსის მ.შ. დავით ფატარიძის 2022 წლის 12 იანვრის N03-702201266 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სსიპ ,,თვითმმართველი თემი საჩხერის მუნიციპალიტეტი"-ს მიერ ყოფილი საზოგადოებრივი ცენტრის შენობის მეორე სართულისა და კომისარიატის ოთახის სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შევსებული სატენდერო პირობების განხილვა და დამტკიცება.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის აპარატის წევრის გიორგი ცუხიშვილის გამოსვლა, რომელმაც კომისიის წევრებს წარმოუდგინა შემდეგი ინფორმაცია:

1. 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესაბამის CPV კოდზე (45400000) არსებული ჯამური თანხის შესახებ.
2. ჩასატარებელი ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები.
3. ყოფილი საზოგადოებრივი ცენტრის შენობის მეორე სართულისა და კომისარიატის ოთახის სარემონტო სამუშაოების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში მომზადებული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე 12400.00 (თორმეტი ათას ოთხასი) ლარით.

სატენდერო კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და აღნიშნეს რომ იგი შესაბამება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის" და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

სატენდერო კომისიის წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება და

დაადგინეს:

1. სსიპ ,,თვითმმართველი თემი საჩხერის მუნიციპალიტეტი"-ს მიერ ყოფილი საზოგადოებრივი ცენტრის შენობის მეორე სართულისა და კომისარიატის ოთახის სარემონტო სამუშაოების შესყიდვა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მეთოდით (ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე-აბრევიატურით NAT) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 15[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით დადგენილი ვადების გათვალისწინებით;
2. დამტკიცდეს სსიპ ,,თვითმმართველი თემი საჩხერის მუნიციპალიტეტი"-ს მიერ ყოფილი საზოგადოებრივი ცენტრის შენობის მეორე სართულისა და კომისარიატის ოთახის სარემონტო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველსაყოფად გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი;
3. დაევალოს კომისიის აპარატს ელექტრონული ტენდერის გამოცხადება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე ლ.ივანაშვილი

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე კ.ქიმაძე

სატენდერო კომისიის წევრები:

თ.ჭუმბურიძე

მ.ჭიღლაძე

პ.ჭიხორია

ი.ბერიძე

კომისიის აპარატის წევრები:

გ.ცუხიშვილი

ნ. ლომიძე

Sachkhere Municipality

Digitally signed by Sachkhere Municipality
Date: 2022.01.24 12:44:32 +04'00'